საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

შაბათი, 26 ივნისი 1920 წ.

რედაქცია და **კანტორა** მოთავსებულია: პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 8 უოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალური საკითხი და მენშევიკები

არც ერთ საკითხს ისეთი დიდი ყურადღება არ მიუქცევია ჩვენში მენშევიკების მხრით, როგორც ნაციონალურ საკითხს ჯერ კიდევ რუსეთის დიდ რევოლიუციამდე. 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ვიდრე 1917 წლის რევოლიუციამდე ნაციონალურ პრობლემას ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში ცენტრალური ადგილი ეჭირა. თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატი მენშევიკი, ინტელიგენტი ეგონებოდა იგი, თუ მუშა, თავის მოვალეობათ სთვლიდა ამ საგანზე ემსჯელა, ერის შეხედულება საზოგადოებისათვის აეხნო. ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ მენშევიკების ბელადებზე, როგორიც არიან ჯორდანია, აკ. ჩხენკელი და სხვები, რომლებმაც აუარება წერილები უძღვნეს ნაციონალური საკითხის გადაჭრას. მერე როგორ აყენებდენ იმ დროს სოც.-დემოკ. — მენშევიკები ნაციონალურ საკითხს? მართალია პროგრამაში ეწერათ ნაციონალური თვითგამორკვევა, მაგრამ ამნაირათ მაშინ საკითხს არავინ აყენებდა ჩვენში. ამ კითხვას არკვევდენ მხოლოდ ორი მხრით: ეერ-კავკასიის დამოკიდებულება რუსეთთან და ურთიერთშორის დამოკიდებულება სხვადასხვა ეროვნებათა ამიერკავკასიაში. ეს ერთი: გარდა ამისა, ნაციონალურ საკითხის გადაჭრა იგულისხმებოდა იმ დროს არსებული რუსეთის ფედერაციის საზღვრებში. არსებითად ნაციონალური საკითხის გარკვევამ რამდენიმეთ იცვალა ფერი მენშევიკების ენაში. პირველ ხანებში როგორც მენშევიკები, ისე მენშევიკები, ნაციონალურ საკითხის გარკვევაში კლასსობრივ ნიადაგს არ შორდებოდენ; მაგრამ ერთი მხრით 1905-06 წ.წ. რევოლიუციის დამარცხების და მეორე მხრით სტოლიპინის რეჟიმის გამარჯვების შემდეგ მენშევიკებსა და ბალშევიკებს შორის ერთიანადი განსხვავება იწყება: მენშევიკები თანდათან ტოვებენ კლასსობრივ გალსაზრისს და მათი მსოფლმხედველობა ამ სიკითხში სულ უფრო და უფრო ნაციონალისტურ ელფერს ღებულობს. არა თუ აკ. ჩხენკელი, არამედ თვით ნ. ჯორდანიაც კი თანდათან და ელ-ნელა არსებითათ გადადიან არ. ჯორჯაძის პოზიციაზე, რომლის წინააღმდეგ წინეთ ერთსულოვანათ ვიბრძოდით, როგორც ბალშევიკები, ისე მენშევიკები. მაგრამ საქმე ამით არ თავდება. 1917 წლის რევოლიუციის წინ მენშევიკები ღებულობენ სახელმძღვანელოთ ე. ნ. ნაციონალურ-კულტურული ანუ ექსტერიტორიალურ ავტონომიის პრინციპს ნაციონალურ საკითხის გადაჭრის საქმეში, თუმც არც ერთ პარტიულ ორგანოლობას ეს არ განეხილა. საერთოთ სოც.-დემ.-მენშევიკებსა და ქართველ ფედერალისტებს შორის ამ დროს არსებითათ თითქმის არავითარი განსხვავება აღარ იყო ნაციონალურ საკითხში. თუ მოხთა რევოლიუციის შემდეგ ეს ელამ კარგათ იცის. რევოლიუციის პირველ დღეებში მენშევიკები თავს ადერდენ ნაციონალიზმისაკენ გადახრით. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ მოითმინეს. და ჩვენ ვხედავთ, რომ მენშევიკების მეთაურები ფედერალისტებთან და ნაციონალ-დემოკრატებთან ერთათ შედიან ნაციონალურ ბჭოში და ბოლოს ნაციონალური ფედერაციის ნაწილი მეღრეშენი ხდებიან, ე. ი. ასრულებენ იმას, რასაც წინეთ ბრძანდა წყლის ნაციონალისტები ქადაგებდენ. საგულისხმიეროა ის, რომ ამ ბოლოანასკნელ ორი-ორნახევარი წლის განმავლობაში ეოცა მენშევიკები ხალხის მართვა-გამგეობას სათავეში მოექცენ, ყოველივე ის, რასაც ისინი წინეთ ქადაგებდენ, სადღაც გაქრა. ახლა ჩვენ წინ არის მათი პრაქტიკა, მათი საქმიანობა. დეე, თითონ მუშებმა და გლეხებმა დააფასონ ეს მათი საქმიანობა და პრაქტიკა. აქ ჩვენ გვინდა რამდენიმეთ შევეხოთ ნაციონალური საკითხის იმ „გადაჭრას“, რომელსაც იძლევა მენშევიკების მეორე სიეზდი. მას შემდეგ რაც მენშევიკები მმართველი პარტიის როლში მოევლინა ჩვენ ქვეყანას, ეს პირველი მაგალითია, როცა ისინი ნაციონალურ საკითხზე მსჯელობენ. ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალური საკითხის გადაჭრა იდგა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით რუსეთის კომუნისტური პარტიის მერვე სიეზდზე გასული 1919 წლის დამლევს. ვინც ცოტათ თუ ბევრათ გაცნობილია ხსენებული სიეზდის ოქმებთან, მას ეცოდინება, თუ რა ფართოთ და ღრმათ იქნა ეს საკითხი იქ გაშუქებული. იქ თითოეულ წარმოთქმულ სიტყვაში ჩანდა არა თუ საკითხის ღრმა ცოდნა, როგორც თეორეტიული, ისე პრაქტიკული მხრითაც, არამედ იქ თქვენ ხედავდით, რომ ჩვენ ამხანაგებს არ აშინებს არავითარი ლოგიკური დასკვნები, რომ ერთხელ ჩვენ ვსცანით ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი, ის უნდა გატარებულ იქნას ბოლომდის. რას ვხედავთ მენშევიკების სიეზდზე? ჯ წინარეს ყოვლისა აქ დავიწყებულია თავი და თავი პრინციპი: ეროვნული თვითგამორკვევა; ეს არავის გახსენებია, თითქო სოც.-დემოკრატიის პროგრამა—მინიმუმში არც კი ყოფილიყოს ის არასოდეს. შემდეგ, რაც საგულისხმიეროა, საქმე ისეა წარმოდგენილი: ქართველოს და ქართველი ერის შესახებ, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ წვრილ ერების მიმართ, როგორც წინეთ რუსეთში. საკითხი იდგა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ. მენშევიკები დაიბნენ სავსებით. დღეს ისინი აღარ სცნობენ არც ტერიტორიალურ ავტონომიას და არც კულტურულს. ერთი მხრით ამბობენ ეროვნულ კავშირზე, მეორე მხრით გაიძახიან, რომ ნაციონალურ უმცირესობათა უფლებები საკმარისათ უზრუნველყოფილი იქნება დემოკრატიული პრინციპითო. მენშევიკების სიეზდზე გამოჩნდა მხოლოდ ერთი ადამიანი — ი. წერეთელი, რომელმაც შედარებით გამოიჩინა მცირედი გამბედაობა და განაცხადა: „პრაქტიკაში ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ ეროვნებათ **ესაჭიროებათ უფრო მეტი უზრუნველყოფა, ვინემ დემოკრატიზმი. იმათ უნდა მიენიჭოთ ისეთივე უფლებები, რომელთა შეძენას ჩვენ თვითონ ვცდილობდით რუსეთშიო**“.

მაგრამ ეს ხმა დარჩა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. წერეთლის ხმა ჩაიხჩო ბ.ბ. ნათაძეების, ჩხენკელების, რამიშვილების უთავბოლო და წინააღმდეგობით აღსავსე სიტყვებში. არც ერთი ცოცხალი, არც ერთი გულწრფელი სიტყვა. მთელი სიეზდი დაიბნა იმ ზომამდის, რომ ვერც კი შესძლეს რაიმე რეზოლიუციის წამოყენებაც კი, და ეს მიანდვეს კომისიას. მენშევიკების სიეზდმა ყველას დაანახვა მხოლოდ ის, რომ დღეს მენშევიკები ეროვნულ საკითხის გადაჭრაში უარსყოფენ თავის პროგრამას და რომ ისინი ამ საკითხის გადაჭრას შესძლებენ იმდენათ, რამდენათ ამას შესძლებენ ნაციონალისტური პარტიები საქართველოში. და ამიტომაცაა, რომ დღეს მათ ტაშს უკრავენ ყველა ჯურის ნაციონალისტები და შოვინისტებიც კი.

„ატამან“ პეტლიურას აღსასრული

არ იქნა და არ გაუღიმა ბედმა „უკრაინის დიქტატორს“ — „ნაციონალურ გმირს“, — არ არსებულ ჯარების მთავარ-სარდალს — პეტლიურას. ჯერ იყო და საშინლად მოსტყუვდა თვით თავისი მეგობარ-ამხანაგებში ძველი რადაში ყოფნის დროს. გრუშევსკიმაც მიატოვა ის და ვინიჩენკომაც. უკანასკნელი უკვე კომუნისტი გამხდარა და მოსკოვში ჩამოსულა საბჭოთა მთავრობასთან ერთად სამუშაოთ, დიდ აგიტაციას ეწევა პეტლიურას და მის „პატრონ“ პოლონეთის შლიახტის წინააღმდეგ.

გერმანიამ რომ ვერ გაუწია კარგი მეგობრობა პეტლიურას და მისი თავს სკოროპადსკი არჩია, პეტლიურა ანგლოფილი შეიქმნა.

დახმარებას შეპირდა ანტანტა მას ბალშევიკებთან ბრძოლაში, თუმცა სასყიდლათ მთელი უკრაინა უნდა მიეცა მათთვის, მაგრამ ეს ხომ არაფერია იმასთან შედარებით, რომ უკრაინაში ბალშევიკები არ იქნებოდენ და პეტლიურას კი ანტანტა თავისი კოლონიის — უკრაინის — ვიცეკოროლობას უბოძებდა. დეე, დაიღუპოს უკრაინა, მხოლოდ კი მიაღწიოს სიმონ პეტლიურამ თავის მიზანს — დიქტატორის სახელს. ანტანტამაც ვერ გაუმართლა იმედი პეტლიურას. საფრანგეთმა, მართალია, ჯარები გამოგზავნა და შედარებით ბლომათაც, აგრეთვე საბერძნეთმაც, მაგრამ ფრანგების ჯარისკაცებმა იმდენი უსიყვარულობა გამოიჩინეს მათი მოიმედე პეტლიურასადმი, რომ ბალშევიკებს არამც თუ არ ეომეს, წითელი დროშებითაც შეხვდენ. ვენიზელოსის „ლეგიონებმა“, რომლებიც ათინიდან იძახოდენ, „ჩვენ არ გვინდა გაუზიაროთ ჩვენი გამარჯვება ბალშევიკებზე არავისო“, ცოტა არ იყოს მოტყუილდენ; გაზიარებით კი მართალია არავის არ გაუზიარეს... მაგრამ საზიაროდ რომ ვერ იშოვეს? სიმონ პეტლიურა კამენეც პოდოლსკიდან თმა ყალყზე დამდგარი კითხულობდა ბალშევიკების რადიოებს ბერძენთ ლეგიონების „გმირობაზე“. პეტლიურა მაინც არ ნებდებოდა ბედს. ანტანტის ფულებით ის გალიციელებიდან ჯარებს ადგენს. „ჩვენი საყვარელი უკრაინა უნდა გავანთავისუფლოთო“. გალიციელები მას დიდი სურვილით და აღფრთოვანებით მოყვებიან... ბალშევიკების ფრონტამდის... აქ კი... კიდევ უფრო აღფრთოვანებული წითელი დროშებით პეტლიურას ზურგს აქცევენ და წითელ არმიას უერდებიან. სრულიად იღუპებოდა პეტლიურა, მაგრამ ამ დროს ამობრწყინდა დენიკინის ვარსკვლავი და მისი სხივებით პეტლიურამ ცოტა სული მოითქვა. ჩვეულებას მან აქაც არ უღალატა და დენიკინს უმცროსი მეგობრობა შეთხოვა. დენიკინმა ის გამოიყენა, კიდეც დაპირდა, მაგრამ პეტლიურამ კიევში შესვლა რომ დააპირა პანლურის ცემით გააგდო. ბედმა აქაც უმტყუნა მას. დენიკინის ვარსკვლავი მალე ჩაესვენა. უკრაინის გლეხებმა და მუშებმა მოსკოვის დახმარებით კვლავ აღადგიხეს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა. პეტლიურამ ახლაც მიმართა პურ მარილის პოლიტიკას, მაგრამ მას ისეთი პირობები დაუყენეს, რომ იძულებული იყო თავისივე პურმარილით უკან გაბრუნებულიყო ტ თავი მოიკალათა კამენეც-პოდოლსკში. აქ მან თავისი თავი, რადგან ხალხმა იგი თითქმის უკვე მიივიწყა, კვლავ მთელი უკრაინის დიქტატორათ გამოაცხადა! შეკრიბა წვრილ ფეხა რეაქციონერები, მრავალგვარი ავანტიურისტები, ბანდების მეთაურები და „არმიაც“ შეადგინა. ამავე დროს უფროსის ძებნასაც მიყო ხელი და მალეც გამონახა. მარშალმა პილსუდსკიმ იკისრა მისი გაბედნიერება, თუმცა სასყიდელიც საკმაო მოითხოვა. უკრაინით იაფათ მოვაპრე პეტლიურამ, თავისი სამშობლო პოლონეთის შლიახტებს ადვილათ დაუთმო, იოლონდაც მისთვის სახელი დაეტოვებინათ.

და აი, ვითომცდა, მოხდა სასწაული და სიმონ პეტლიურას ბედმა გაუღიმა.

პოლონელმა თეთრგვარდიელებმა შეუტიეს საბჭოთა უკრაინას; აიღეს ჟიტომირი, ბერდიჩევი, კიევი. პეტლიურა კამენეც კოპოდოლსკიდან კიევში გადმობარგდა თავისი ამალით. სამშობლოს დედა-ქალაქი ახლა უკვე თავისუფალი იყო და პეტლიურას სიხარულსაც საზღვარი არ ქონდა... მაგრამ... ხან მოკლე გამოდგა ეს სიხარული.

წითალი არმიის წითელმა გენერალმა — ვახმისტრ ბუდიონიმ ამ საბჭოთა მთავრობის მიურატმა — ისე მაგრათ შემოკრა ზურგში მარშალ პილუდსკის ბრწყინვალე ლეგიონებს, რომ მათ გონზე მოსვლაც ვერ მოასწრეს.

გაცილებით უფრო ჩქარა დასტოვეს დაკავებული ადგილები, ვინემ დაიჭირეს. მართალია უკან დახევის დროს მათ მიწასთან გაასწორეს მთელი კიევი, მაგრამ... ესეც ხომ ბალშევიკების ბრალია.

სტრატეგიაში, მართლაც რომ ძვირათ ნახული, მამაცური კავალერიის მანევრით, ბუდიონიმ აიღო რა ფასტოვ-ბერდიჩევ-ჟიტომირი ერთი მხრით საშინელ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო პოლონელთა მთელი მარჯვენა ფლანგი, მოუსპო რა მას უკან დასახევი გზა კიევ-კოროსტენის რკინის გზის გადაჭრით, — და მეორე მხრივ პეტლიურას „არმია“ სრულიად მოწყვიტა პოლონელთა ჯარს. როდესაც უკანასკნელი საჩქაროთ იხევს ჩრდილოეთ-დასავლეთით, პეტლიურა იძულებული შეიქნა დაშორებოდა თავის მფარველს და საკუთარი დასახევი გზა ენახა. ეს გზა იყო კამენეცკ-პოდოლსკის რაიონი და აი ისიც აქეთ ეშურება.

ბედმა ახლაც უმტყუნა პეტლიურას, და როგორც სჩანს, ახლა უკვე სამუდამოთ.

გუშინდელ დეპეშების ცნობით საბჭოთა ჯარებს უკვე დაუკავებიათ კამენეც-პოდოლსკი, — ეს მუდმივი ბუდე პეტლიურასი. აქ უკრაინა უკვე თავდება. კამენეც-პოდოლსკი იყო „დიდი უკრაინელის ყველა დიადი საქმეების მოწამე და დამწყები და კამენეცკ-პოდოლსკშივე ჩაქრა მისი მბჟუტავი ჭვარტლიანი სანთელი ტ, როგორც ეტყობა, სამუდამოთაც.

საბრალო სიმონ პეტლიურა! როგორ ულამაზოთ ჩაიარა მისმა მოღვაწეობამ! ღალატის ნიშნით დაიწყო ეს მოღვაწეობა და ღალატის ნიშნითვე ჩაესვენა. საბრალო უკრაინის დონ-კიხოტი!

ვინ — ბან.

ვინ სტყუის?

(ბ. ს. დევდარიანის მკითხველების საყურადღებოთ).

5. საყოველთაო არჩევნების უფლება და მარქსიზმი.

ბ. დევ-ანმა ამაოთ წაეპოტინა ფ. ენგელსს და შეეცადა კონტრაბანდათ გაეტარებია საკუთარი და ყველა ოპორტიუნისტის სიბრძნე, ვითომ როგორც უწინდელი ისე ახლანდელი გამოცდილება ნათლათ ამტკიცებდეს საყოველთაო არჩევნების უპირატესობას რევოლიუციონურ მეთოდებთან (მათ შორის შეიარაღებულ აჯანყებასთან) შედარებით. გავცნოთ საერთოდ მარქსიზმის შეხედულებას ამ საკითხზე. მართლა შესაძლებელია, რომ თავის განსათავისუფლებლათ ამოძრავებულ სოციალისტურ პროლეტარიატს აჯანყების მაგიერობა გაუწიოს საყოველთაო საარჩევნო უფლებამ, ზედმეტი გახადოს რევოლიუციონური შეჯახება, ძალდატანებითი მეთოდები? არა და არას შემთხვევაში — უპასუხებს ამაზე მარქსიზმი.

ჯერ კიდევ 1850 წ. („კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში“) მარქსი სწერდა საფრანგეთის ეროვნულ კრების არჩევნების გამო: „საყოველთაო საარჩევნო უფლებამ არ გამოიჩინა ის ჯადოსნური ძალა, რომელსაც აწერდენ მას ძველი მოდის რესპუბლიკანელები. მთელს საფრანგეთში — ყოველ შემთხვევაში ფრანგთა უმრავლესობაში — ისინი ხედავდნენ მოქალაქეებს ერთნაირი ინტერესებით, ერთნაირი შეხედულებებით და სხ... ასეთი იყო მათი ხალხის კულტი. მათ წარმოდგენაში არსებულ ხალხის მაგიერ არჩევნებმა მეტის მეტი სინათლით გამოაშკარავა ნამდვილი ხალხი, ე. ი. წარმომადგენლები იმ კლასების, რომლებზედაც იყოფა ეს ხალხი:.. მარა თუ საყოველთაო საარჩევნო უფლება არ გამოდგა იმ გრძნეულ კვერთხათ, როგორსაც მას სთვლიდენ გულკეთილი რესპუბლიკანელები, სამაგიეროთ მისი მნიშვნელობა უფრო დიდი იყო: ის ანთავისუფლებდა კლასობრივ ბრძოლას ყოველგვარ შებოჭვისაგან, აიძულებდა სხვა და სხვა შუათანა წრეებს ბურჟუაზიულ საზოგადოებისას სწრაფათ ეგემებიათ და უკუეგდოთ (быстро пережить и изжить) საკუთარი ილიუზიები და გამტყუნებული იმედები“...

„საარჩევნო ბიულეტენების უკან ქუჩის ქვაფენილების ქვები ყრიანო“, სწერს იმავე შრომაში მარქსი, ე. ი. საარჩევნო კამპანიის ლოგიკა სულ ადვილათ ბარიკადების აგებას აიძულებს ამრჩევლებსო. საყოველთაო არჩევნები საფრანგეთში დაამკვიდრა ცნობილმა ნაპოლეონ მესამემ. საყოველთაო ხმის მიცემის უფლების წყალობით ის ჯერ გაპრეზიდენტდა, შემდეგ საყოველთაო პლებისციტით ის გაიმპერატორდა. გერმანიაში საყოველთაო საარჩევნო უფლება შემოიღო... ბისმარკმა, თუმცა გარემოებათა იძულებით, მარა ალბათ არა იმიტომ, რომ ეს უფლება სოციალ-დემოკრატიისათვის „უფრო გამოსადეგი იყო აჯანყებასთან შედარებით“. გერმანიის მუყეზეზა შესძლეს ეს „დატყუების საშუალება“ გადაეტანა განთავისუფლების ერთ-ერთ იარაღათ, ამას ხაზს უსვამს ენგელსი. მარა თავისთავათ აქვს ამ უფლებას განმათავისუფლებელი იარაღის თვისება, თუ ის მხოლოთ ხელს უწყობს განთავისუფლებისათვის აუცილებელ წინასწარი პირობების შექმნას?

მარქსი ე. წ. „გოთის პროგრამის“ გაკრიტიკების დროს ასე შოლტავდა მის ავტორებს: „პოლიტიკური პროგრამის მოთხოვნებში არაფერია, გარდა ძველი, მთელი ქვეყნისათვის ცნობილ დემოკრატიული ლიტანიისა; საყოველთაო საარჩევნო უფლება, პირდაპირი ხალხური კანონმდებლობა, ხალხის უფლება, საბალხო მილიცია და სხ, ეს უბრალო განმეორებაა ბურჟუაზიული დემოკრატიის, მშვიდობიანობა-თავისუფლების ლიგის მოთხოვნების“ (იხ. „Критика Готской программы“, დაწერილი 1875 წ., ე. ი. კომუნას შემდეგ!) ენგელსი სრული გარკვევით უწოდებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას ბურჟუაზიის ბატონობის იარაღს. თავის ცნობილ შრომაში — „წარმოშობა ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოსი“ — დაწერილია 1884 წ., ე. ი. პარიჟის კომუნას შემდეგ 14 წლით გვიან!: „საყოველთაო საარჩევნო უფლება მაჩვენებელია მუშათა კლასის მომწიფების. მეტის მოცემა მას არ შეუძლია და ვერცაროდეს მოგვცემს თანამედრო სახელმწიფოში. როცა მუშების საყოველთაო ხმის მიცემის ტერმომეტრი აიწევა დულილის წერტილამდე, მაშინ მუშებშიც და კაპიტალისტებშიც დაინახავენ თუ რისი მომასწავებელია ეს“ (იხ. რუსული გამოცემის გვ. 122).

დიახ, საყოველთაც საარჩევნო უფლება, სულ დიდი, ის ტერმომეტრი ყოფილა, რომლითაც სხვათაშორის შეიძლება მის გამოცნობა: **მზათაა თუ არა** მუშათა კლასი? მზათაა რისთვის?—სოციალისტურ გადატრიალებისათვის, პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობის დაპყრობისათვის, პროლეტარული დემოკრატიის მოსაპოვებლათ. და თუ როგორ მოხდება ეს დაპყრობა, ამას მუშებიც და კაპიტალისტებიც დაინახავენ მაშინო—საკმაო სიაშკარავით და მუქარითაც ამბობს ენგელსი. ამ აზრითვე განაცხადა ავგ. ბებელმა ამსტერდამის სოციალისტურ კონგრესზე: ჩვენ ჯერ-ჯერობით საკმაოთ ძლიერი არა ვართ გერმანიაში, მხოლოთ 3—4 მილიონი ამომრჩეველი გვემხრობა. გვაცალეთ, სანამ 8 მილიონი მოგვეკედლება და მაშინ დაგანახვებთ, თუ რას მოვიმოქმედებთო (ე. ი. რევოლიუც. სიტუაციაც რომ არ იქნეს სოციალისტურ გადატრიალებას ჩავაყენებთ მაინც დღიურ წესრიგში, რაკი არჩევნების „ტერმომეტრი“ გვიჩვენებს დუღილის წერტილსო)!

რა როლი უნდა ითამაშოს საყოველთაო საარჩევნო უფლებამ პროლეტარულ სახელმწიფოში?

მარქსი სწერდა თავის გენიალურ შრომაში—„სამოქალაქო ომი საფრანგეთში“: კომუნა უნდა ყოფილიყო არა პარლამენტარული, არამედ მომუშავე კორპორაცია, რომელიც ერთ და იმავე დროს კანონმდებელიც უნდა ყოფილიყო და კანონების აღმასრულებელიც... ნაცვლათ იმისა, რომ სამს ან ექვს წელიწადში ერთხელ გადაწყვეტილიყო, გაბატონებული კლასის რომელ წევრს უნდა წარმოედგინა ტ დაეთრგუნა (представлять и подавлять) ხალხი პარლამენტში, ნაცვლათ ამისა საყოველთაო საარჩევნო უფლებას სამსახური უნდა გაეწია კომუნებში შეკავშირებული ხალხისათვის მით, რომ გამონახულიყო მისი წარმოებისათვის მუშები, ზედამხედველები, ბუხგალტერები ისე, როგორც ინდივიდუალური საარჩევნო უფლება სამსახურს უწევს იმავე მიზნის მისაღწევათ ყველა სხვა სამუშაოს მიმცემს“.

როგორც ცა დედამიწისგან, ისე დაშორებულია ეს შიხედულება ბ. დევდარიანების „განმარტებებიდან“. მათი ფიცით, საყოველთაო საარჩევნო უფლებას შეუძლია სხვა ბრძოლა ზედმეტათ გახადოს, ამასთანავე ცხად ყოს მშრომელთა უმრავლესობის ნება „თანამედროვე სახელწიფოში“ და ამ ნების ცხოვრებაში გატარება განამტკიცოს. წარმოუდგენელია მეტი გათაღლითება მარქსიზმის ბროლეტარული რევოლიუციის ალგებრის. იყო კი დრო, და არც ასე დიდი ხანია მას აქვთ, როცა დევდარიანებს ესმოდათ მარქსიზმის ანბანი ამ საკითხში. აი მაგალითად ბ. ნ. ჟორდანია (კოსტროვი) რა ოქრო სიტყვებს აბნევდა 1906 წ. ე. წ. გამაერთიანებელ სიეზდზე ქ. სტოკგოლმში: „არც ერთ წარმომადგენლობითი კრებას, თუ გინდ თვით დემოკრატიული გზით არჩეულს, თვით კონვენტსაც კი, არ შეუძლია რევოლიუციონური იქნეს გარედან ზედ მიწოლას თუ არ განიცდის... შეხლა-შემოხლები შიგნით არაფერს არ ნიშნავს, საჭიროა გარედან ზედ მიწოლა.“ (იხ. ოქმები, გვ. 289) მე წინადადებას შემოვიტანდი ეს სიტყვები თბილისის სასახლეს კედლებზე აღებეჭდათ დიდი ასოებით, მარა მეშინია ჩემთან ერთად დიდი უსიამოვნება არ შეხვდეს „ვისგანაც ჯერ არს“ ამ სიტყვების ავტორს, თან თვალწინ მიდგებიან ალექსანდრეს ბაღში დაცხრილულ მუშების აჩრდილები, რომელთა წინაღმდეგ მათმა ჯალათებმა გამოიგონეს ბრალდება ასეთ საშინელ დანაშაულობაში, რომ მათ განზრახვა ქონდათ უთავაზოთ მოქცეოდენ იმ „კონვენტს“,რომელიც ამ.-კავკ.სეიმის სახელით იკრიბებოდა თბილისში, და რომელშიაც თითქმის სამი მეოთხედი ადგილები ეკავათ დაშნაკელებს და მუსავატელებს, და ამიტომ ბ. დევ-ანისთვის მიმინდვია ხსენებულ სიტყვების საფუძვლიანათ გახსენება და შესაფერისს ადგილას მოთავსება.

მ. კასპიელი.

(გაგრძელება იქნება)

საგჯოთა ჯარი.

დღევანდელი საბჭოთა ჯარი არ არის ერთხელ და სამუდამოთ გადაწყვეტილი საკითხი ხალხის შეიარაღების ორგანიზაციისა. წითელი ჯარი და მისი რეგულიარული ხასიათი საჭირო შეიქნა პროლეტარიატის დიქტატურის გასამაგრებლად. ძველ პროგრამა-მინიმუმში გვქონდა საყოველთაო შეიარაღება, სახალხო მილიცია. მაგრამ როდესაც ცხოვრებამ ერთი კლასიური სახელმწიფო (ბურჟუაზიული) მეორე კლასიური სახელმწიფოს (პროლეტარიატის) დაუპირდაპირა, საჭირო შეიქნა ისეთი ჯარი, რომელიც შედგებოდა მხოლოთ იმ პირებისაგან, ვინც სხვის შრომას არ ყვლეფს.

ასეთი ჯარი უთუოთ მუშათა და გლეხთა არმია უნდა ყოფილიყო.

საყოველთაო შეიარაღებას ჩვენ მოვითხოვდით ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ სახელმწიფოდან და ამით ვებრძოდით მის ბატონობას. ხოლო დღეს, შეცვლილ პირობების მიხედვით, იარაღი და სამხედრო ცოდნა მხოლოდ იმას უნდა ჰქონდეს, ვისიც კლასიური სახელმწიფო შენდება.

წინანდელი ჯარიც კლასობრივი იყო, მხოლოდ ის ბურჟუაზიული კლასის. მართალია ამ ჯარის უმრავლესობას შეადგენდა ღარიბი ხალხის შვილები, მაგრამ მისი ხელმძღვანელები და მმართველი აპარატები ბურჟუაზიული იყო: ჯარის ხელმძღვანელაც საგანგებოთ ინიშნებოდა თავადები, აზნაურები და წარჩინებულ პირთა შთამომავლობის შვილები.

ჯარი დაშორებული იყო სახელმწიფოს ავკარგს—ის პოლიტიკის გარეშე იდგა, მას არაფერს ეკითხებოდენ. კაზარმულმა სისტემამ ძლიერი ტრადიცია შექმნა, უფროსებისა და ხელმწიფის მორჩილებისა. საუკუნოებით ენერგებოდა ხელმწიფი შიში ჯარს და ისინიც ერთგული დამცველნი იყვნენ მისი და ბრმა აღმასრულებელნი ბურჟუაზიის დაპყრობითი პოლიტიკისა. ამიტომ ძველი ჯარი იმპერიალისტური იყო, მას პროლეტარიატის სამსახური არ შეეძლო.

დიდი შრომა დასჭირდა პროლეტარიატს ასეთი ჯარი თავისკენ მიემხრო და მათ ჩვეულებრივათ აღარ ეღვარა მუშათა კლასის სისხლი.

როდესაც რუსეთის პროლეტარიატმა ძალა-უფლება ხელში აიღო, მისთვის აუცილებელი საჭირო დარჩა ჯარის შექმნა. ბევრი ამხანაგი კიდევ არ იყო დარწმუნებული რეგულიარული ჯარის შექმნის საჭიროებაში; ისინი ასეთ დროს ეპოტინებოდენ ძველ პროგრამას, საყოველთაო შეიარაღებას და პარტიზანობას, მაგრამ მეოთხე საბჭოთა ყრილობამ საკანონმდებლოთ დაადასტურა კლასობრივი ჯარის შექმნის საჭიროება. და დღეს ყველასათვის ცხადი შეიქმნა საბჭოთა მთავრობის მიერ სწორი ნაბიჯის გადადგმა. როგორც პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ არ შეიძლებოდა წინდაწინვე იმის თქმა თუ დეტალურათ როგორც ფორმებში, რა სისტემაში გამოიხატებოდა იგი, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი სახელმწიფო, ისე წინდაწინ არ შეიძლებოდა იმის დაწვრილებით გათვალისწინება, თუ რა სისტემით უნდა აგებულიყო პროლეტარიატის მხედრობა, და როგორც პირველმა ხანგრძლივ რევოლიუციონურ პროცესში წამოაყენა საბჭოთა მართვა-გამგეობის კონსტიტუცია, ისე შინაურ და გარეშე ფრონტების აუცილებელმა საჭიროებამ შვა წითელი ჯარი და მისი აპარატები. ჯერ კიდევ ბურჟუაზიისა და მემამულეების შავრაზმს 1905 წ. საქართველოში. სახელდობრ ქართლში, როცელიც შესდგა ამილახვარის, ფალავანდიშვილის და სულხანიშვილის ხელმძღვანელობით, რევოლიუციონერებმა, წითელი რაზმი დაუპირდაპირეს და ასევე საბჭოთა სისტემის და მის დამცველის წითელი ჯარის არსებობა არის მუშათა კლასის ბრძოლის პროცესის ღვიძლი შვილი. რაც დრო გადის იმდენათ ვითარდება ეს ჯარი პროლეტარიატის ინტერესების დაცვაში.

რა აძლევს ყველაზე მეტ საშუალებას ამ ჯარს, რომ ის არ გადაიქცეს კონტრრევოლიუციის იარაღათ? უმთავრესი აქ ის არის, რომ საბჭოთა ჯარის კაზარმები შკოლათაა გადაქცეული და ჯარი ისეთივე მონაწილეა პოლიტიკური ცხოვრების, როგორც მუშა და გლეხი.

ის იწვრთნება არა მემამულეების და კაპიტალისტების ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, არამეთ პროლეტარიატის ინსტრუქტორების მიერ. ჯარის კაცები სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან საბჭოთა რუსეთის. ამიტომ მთელი ჯარი ერთგული დამცველია მუშათა და გლეხთა მთავრობის. გარდა ამისა, სამხედრო ცოდნა ხელმისაწდომი გახდა ფართე მასისათვის. საყოველთაო სამხედრო ცოდნა, მიღებული საბჭოთა პირველ ყრილობის მიერ, ჯარსა და მუშათა კლასს სავსებით აერთებს და მთელ მუშათა კლასს ხდის ჯერ მუშებათ და მერმე ჯარის კაცებათ.

მაშასადამე დღევანდელი ჯარი და მუშათა კლასი ერთია; წინანდელი ჯარი და ბურჟუაზია (თუ შემადგენლობით არა, თავისი არსებით და მიმართულებით) ერთი იყო.

ასე, რომ დღევანდელი ჯარი კლასობრივი მილიცია არის.

ეს მილიცია არაა საბოლოო საქმე. ეს მანამდის უნდა დარჩეს, სანამ სამოქალაქო ომი არ დასრულებულა და კლასთა ბრძოლა არ მოსპობილა. როდესაც მოისპობა სახელმწიფო, მაშინ მოისპობა ასეთი ჯარიც; როდესაც ეკონომიურ მდგომარეობას რ ექნება კლასობრივი ხასიათი, არც სახელმწიფო იქნება—მაშასადამე ჯარიც დაკარგავს თავის კლასობრივ ხასიათს. დღევანდლი წითელი ჯარი სწორეთ სისტემატიურათ აქეთკენ მიისწრაფის.

საბოლოოთ ჯარის გაწრთვნა-სწავლება იქნება ფაბრიკა-ზავოდებში და სოფლის კომუნებში. ფაბრიკის ინსტრუქტორებთან ერთად ჯარს ეყოლება სამხედრო ინსტრუქტორები კომანდირების სახით მისივე წრიდან.

საჭიროების დროს ის ისევე დარაზმულათ გამოვა, როგორათაც დღეს დგას ფრონტზე.

მაშასადამე საბჭოთა ჯარები დღეს თუ ხვალ უნდა გადავიდენ ფაბრიკა-ზავოდებში და სოფლის კომუნებში; ეს იქნება მათი კაზარმები.

ამ პირობებში აღზდილი ჯარი არვის არ შეუძლია იმპერიალისტური მიზნებისათვის გამოიყენოს. საბჭოთა მთავრობამ გააუქმა იმპერიალისტური ჯარი, შექმნა კლასობრივი მილიციონური ჯარი, მოახდინა მუშათა და გლეხთა შეიარაღება და სისტემატიურად გადაყავს თავისი აპარატებით ფაბრიკა-ზავოდებში, რკინის გზებში და სოფლის კომუნებში. ეს არის საუკეთესო ფორმა საყოველთაო შეიარაღებისა, რომელსაც მიზნათ აქვს მხოლოდ ხალხის ინტერესების დაცვა და საბოლოოთ კომუნიზმის განხორციელება.

თენგიზი.

პრესა

გაზ. „ერთობა“, მოყავს რა ჩვენი გაზეთიდან ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ კომუნისტური პარტიის წინაღმდეგ დღეს ჩვენში ირაზმებიან ყველა დანარჩენი პარტიები, რომლებიც არსებული ბურჟუაზიული წესწყობილების ნიადაგზე დგანან, ამბობს:

„თვით „კომუნისტის“ სიტყვებიდანვე აშკარად ხდება, რომ საქართველოს მთელი ხალხი ერთს ბანაკს შეადგენს და ეს ბანაკი გადაჭრით უარყოფს ბალშევიზმს. ამ ბანაკში მოთავსებულია საქართველოს მთელი (?!) მუშაკლასი და მთელი (?!) გლეხობა, რომელსაც უკვე თვალი აეხილა... როდესაც „კომუნისტი“ დენიკინ-ვრანგელის. მომხრეებს გაიხსენებს, ვურჩევთ ჩუმათ იყოს, რადგან ყველა ის ელემენტები, რომლებიც ნახევარი წლის წინეთ გულის ფანცქალით ელოდებოდენ დენიკინის ჯარების შემოსვლას საქართველოში, ისინიც კი, რომლებიც ჩვენ ბალშევიზმის ტერორისგან დავიხსენით, ყველა ესენი დღეს კომუნისტების ბანაკშია თავმოყრილი და კომუნისტებს არ გააჩნიათ მათ მეტი მომხრეებიო“.

დავანებოთ თავის მტრევა იმის შესახებ, თუ ვის მხარეზეა დღეს ჩვენში მუშათა კლასსი და გლეხკაცობა. დავანებოთ თავი იმასაც, თუ ვისთან ერთათ, ერთ ბანაკში იმყოფებიან დარაზმულები ჩვენ წინაღმდეგ ქართველი მენშევიკები. საინტერესოა მხოლოდ ის, რომ „ერთობა“ ჩვენს ბანაკში დენიკინელებს ძალათ ერეკება, იმ დენიკინელებს, რომლებსაც ჩვენ სასიკვდილოთ დავსდევდით და დღესაც დავსდევთ. სწორედ საკვირველია „ერთობის“ ლოღიკა.

გაგ. „გრუზია“ საქართველოს სოც.-დემ. სიეზდის დახურვის გამო, შემდეგს წერს:

„დამთავრდა საქარ. სოც.-დემ. პარტიის სიეზდი, რომლის მუშაობას ასე გაფაციცებით ადევნებდენ თვალს არა თუ პარტიის წევრები, არამედ მთელი ქართველი ხალხი... იმ ხმების გამო, რომლებიც გაისმოდა რაღაც უთანხმოების და თითქო გათიშვაზედაც კი სოც.-დემოკრ. პარტიაში, ბევრი შიშმა მოიცო, ვაი თუ სიეზდი შეფერხდა, და დაირღვა ის ერთსულოვნება ხალხის მასსებში, რომელიც აქამდის არსებობდა... და არ ვმალავთ, ეს საკითხი (ე. ი. ერთსულოვნობის დარღვევა) ყველაზე უფრო აწუხებდა და აღელვებდა შეიძლება ქართველი ხალხის იმ წრეებს, რომლებიც არც კი ეკუთვნიან სოც.-დემ. პარტიასო“.

ერთი სიტყვით, ფიზიკურათ, ხორციელათ თუ არა, სულიერათ გაზ. „გრუზიის“ წრეები, ე. ი. გოთუა-ვეშაპელ-გვაზავები, თითქმის სრულიად დაუახლოვდენ საქართველოს სოც.-დემ. პარტიას. ნუ თუ ეს „გამარჯვება“ არაა?

საგჯოთა რუსეთში

კომუნისტი ბავშვები შრომის მაგალითს იძლევიან.

ქ. ნიკოლაევიდან ამას წინათ რადიოთი გაზეთებს აუწყებენ, რომ იქ სასურსათო კომიტეტის მიერ სამუშაოების განაწილების გამო მოზარდებმა მოახდინეს საზოგადო კრება და დაადგინეს, რომ იმუშაონ არა ოთხი საათს, არამედ ექვსს, და ასეთი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთეს, რომ ისინი ხელმძღვანელობენ პროლეტარული შეგნებით და მზათ არიან რუსეთის კომუნისტურათ მოწყობის საქმეს თავიანთი პირადი ინტერესები მსხვერპლათ შესწირონ.

მუშათა ტეხნიკუმი.

ქ. აზოვში ხსნიან მუშებისა და გლეხების ტეხნიკუმს, სადაც სახალხო მეურნეობისათვის მოამზადებენ, როგორც დახელოვნებულ მუშებს, ისე სპეციალისტ აგრონომებს და ინჟინრებს. განზრახულია მთელ რაიონში გახსნან სკოლები და სასოფლო სამეურნეო იარეღების შესაკეთებლათ სახელოსნოები. სკოლების დანიშნულებაა მცხთვრებთა შორის საყოველთაო სპეციალურ-ხელოსნური განათლება გაავრცელოს. მარტო აზოვის რაიონში ოცდაათამდე „კურსია“ ამ მიზნით გახსნილი.

რა უნდოდა პოლონეთს?

მებატონეთა პოლონეთი მოითხოვს, რომ მას გადაეცეს მთელი ის ტერიტორია, რომელსაც ერთ დროს, პოლონეთის პირველ დაყოფამდე, ე. ი. 1772 წლამდე, პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფო ფლობდა.

სხვანაირათ რომ ვთქვათ მას უნდა, რომ მის განკარგულებაში გადავიდეს გუბერნიები: მოგილევის, ვიტებსკის, მინსკის, კიევის, ვოლინის და პოდოლის.

საბჭოთა რუსეთი ყოველ ერის უფლებას ცნობს, რომ მან საკუთარი სახელმწიფო მოაწყოს, და ამ პრინციპის მიხედვით პოლონეთს მართლაც ამის საბუთი ექნებოდა, რომ დასახელებული გუბერნიები პოლონელებით იყვენ დასახლებულნი. ნამდვილათ კი პოლონეთს უნდა ამ საუკუნე ნახევარზე მეტი წლის წინათ წაშლილი საზღვარი კვლავ აღადგინოს მაშინ, როდესაც თვით პოლონეთის წყაროების ცნობის თანახმათ აღნიშნული ტერიტორიის მცხოვრებნი ეროვნულათ შემდეგ ნაირათ იყოფიან: პოლონელები მცხოვრებთა ერთ მეათედს ძლივს შეადგენდენ, ხოლო რუსეთში კი ორ მესამედზე მეტი არიან. ამ 1905 წლის წინათ იქ რუს გლეხს ისე. როგორც პოლონელს, ბატონობდა და ფლობდა პოლონელი მებატონე. აი ამ მებატონეთა ნაშთებს—ახალგაზდა მებატონეებს ახლაც სურთ კვლავ ძველებურათ, მამა-პაპურათ იბატონონ და განუკითხავათ ტყავი აძრონ აღნიშნულ 6 გუბერნიის მშრომელ მასსას.

რ. კ პ. შემადგენლობა.

მიმდინარე წლის მაისში რ. კ. პ. საზოგადო ყრილობა მოხდა. მეტათ საყურადღებო ცნობებია მოთავსებული ყრილობის შემადგენლობის შესახებ გაზ. „იზვესტიას“ მე 18 №-ში. მოგვყავს იქიდან ცნობა. ყრილობაზე დაესწრო სულ 716 დელეგატი.

ამათგან კაცი—502; ქალი—28; ოჯახის პატრონი—380, მარტოხელი—150. ეროვნებით: რუსები—76 პროც. ხოლო სხვა ეროვნებანი სულ—24. პროც. ხნოვანებით:

16—23 წლიანი	. . .	13 პროც.
24—30 „	. . .	42 „
31—40 „	. . .	38 „
41	. . .	7 „

განათლებით—44 პროც. დაბალი
საშუალო განათლებით—36 პროც.
პროფესიით: მუშები — 51 პროც.
ხელოსნები — — — 8 პროც.
გლეხები — — — 5 პროც.
ინტელიგენტები — — 36 პროც.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციამდე პარტიაში შემოსულა 49 პროც., თებერვლის რევოლიუციიდან ოქტომბრის რევოლიუციამდე შემოსულა 2 პროც., ხოლო შემდეგ დღემდე 27 პროც.

ამათგან ყოფილი მენშევიკია სულ 2 კაცი.

ყოფილი ინტერნაციონალისტი — 2 კაცი.

ყოფილი ესერი მემარცხენე 16, მაო. სიმალისტი 3, დანარჩენი კიდევ 1 სულ ესერი 38 კაცი.

ყოფილი ანარქისტ-სინდიკალისტი 6, დანარჩენ სოციალისტურ პარტიებიდან გადმოსულნი — 17 კაცი. სულ დელეგატთა რიცხვი, რომლებიც სხვა პარტიებიდან არიან შემოსულნი — 11 ანუ 20 პროც. ხოლო ძველები 80 პროც. შეადგენენ.

საზღვარ გარეთ

შვეიცარია და საბჭოთა რუსეთ

ამ უკანასკნელ დროს შვეიცარიის სოციალისტურ პრესაში სულ უფრო და უფრო ხშირათ გაისმის ხმა შვეიცარიის მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობის სა. სარგებლოთ.

შვეიცარიის პარლამენტში ამას წინათ შეკითხვაც კი შეიტანეს და დაჟინებით მოითხოვეს, რომ საბჭოთა რუსეთთან შვეიცარიამ სავაჭრო ურთიერთობა აღადგინოს, ვინაიდან რუსეთს სავსეა ნედლი მასალით და თვითონ რუსეთს შვეიცარიიდან სამაგიეროთ შეძლია გაიტანოს დიდძალი სასოფლო სამეურნეო იარაღი და საათები.

შეკითხვაზე პასუხი გასცა კონფედერაციის პრეზიდენტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა ეს საბჭოთა მთავრობასთან საქმის დაჭერა იქნებოდა. ამბობდა ის, ამიტომ მანამ, ვიდრე ასეთ ნაბიჯს გადავდგამდეთ, საჭიროა გამოვარკვიოთ: 1) აქვს საბჭოთა მთავრობას სერიოზული საბუთი, რომ ხანგრძლივ არსებობის იმედი ჰქონდეს თუ არ 2) გამოხატავს მართლა იგი რუსეთის ხალხის უმრავლესობის ნება-სურვილს თუ არა და 3) დათანხმდება იგი ხელს აიღოს თვის რევოლიუციონური პროპაგანდის წარმოებაზე შვეიცარიის გზით თუ არა“.

პროლეტარული სოლიდარობა.

როგორც გერმანელ კომუნისტების ერთი ორგანო ვადმოგვცემს, ინგლისის მუშათა სოციალისტურმა ფედერაციამ ერთ თავის კრებაზე გერმანიის რევოლიუციის შესახებ შემდეგი რეზოლიუციია გამოიტანა:

„მუშათა სოციალისტური ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი ყურადღებას აქცევს გერმანიის მდგომარეობას და იმ ბრძოლას, რომელიც სწარმოებს იქ კონტრ-რევოლიუციონერთა და კომუნისტთა შორის. ის მოუწოდებს ინგლისის და სხვა ქვეყნების მუშებს იზრუნონ იმაზე, რომ მათმა მთავრობებმა გერმანიის საქმეებში ჩარევაზე ხელი აიღონ და კონტრ-რევოლიუციას დახმარებას ნუ აწვდიან, მოუწოდებენ განსაკუთრებით მეზღვაურთ, რკინის გზელთ და ტრანსპორტის მუშებს, რომ მათ უარი განაცხადონ კონტრ-რევოლიუციის ხელის შემწყობ მასალის გერმანიაში გადატანაზე. რეზოლიუციაში მოითხოვს, რომ ინგლისის ფლოტი და არმია რეაქციას არ ემსახურონ“.

რა მდგომარეობაში არიან რუსეთ

მუშები „დემოკრატიულ“ საფ. რანგეთში.

ფრანგული გაზეთი „პოპულერის“ მარტის ნომერში 500 რუსის მუშის ხელით შემდეგი წერილია მოთავსებული.

„ძვირფასო ძმებო!

ჩვენ, შორეულ აფრიკის ფორტ-ეპ

ვალდებულნი მოგმართავთ თქვენ და
ითხოვთ დახმარებას გთხოვთ.
ბ ორი წელია, რაც ჩვენ გამომ-
ებულნი ვართ ამ კედლებს შორის
ბრდაფებში. ჩვენ დღესაც არ ვი-
ცით, თუ რათ ჩაგვაგდეს ამ ჯოჯოხე-
ეთიხეში, სადაც ჩვენ ჰაერიც კი
ბრგვეძევა საკმაო და სადაც ათას-
ობა სენით ვიტანჯებით. რისთვის?
ბ ოდის?
ბ ი იმიტომ, რომ რუსის ხალხმა გაი-
ბ ა, სად არის ბოროტების ძირ-ფე-
ბ ა მოინდომა იმ მტრებისგან თავი
ბ ავისუფლოს, რომლებიც თქვენი
ბ ობის მოყვრებათ ითვლებოდენ?
ბ ეკითხებით: ნუ თუ ჩვენ თავი-
ბ ლ საჭრანგეთში ვცხოვრობთ?
ბ მოგვისპეს ჩვენ თავისუფლება და
ბ ოეს ამ ჯოჯოხეთში.
ბ ო! ჩვენ უმწეო ვართ... ჩვენ გამ-
ბ ი არავინა გვყავს აქ, რადგან ჩვენ
ბ ი ვართ თავისუფალ რუსეთისა!
ბ მიგვყიდეს მესაკუთრეებს, რო-
ბ მონები საფრანგეთის გენერლებმა,
ბ ოთა ძალა-უფლება განუსაზღვრე-
ბ ელეს.
ბ ფასო ძმებო, ფრანგებო!
ბ თქვენ მოგმართავთ და გთხოვთ
ბ ოთ ყოველგვარი ზომები და იძუ-
ბ ი გახადოთ თქვენ თქვენივე მთა-
ბ . რომ მან ყურად იღოს ჩვენი
ბ ავი დავახწიოთ ამ ფორტებს
ბ გვიშვან ჩვენს თავისუფალ რუსეთ-
ბ ბო, ფრანგებო! თქვენს სინიდისსა
ბ ულს მივმართავთ ჩვენ.

**ბ სეთის ახალი რევოლიუციო-
ბ ნური მთავრობა.**

ბ ჭოთა რუსეთის დეპეშათა სააგენ.
ბ თანამშრომელთან საუბარში ამხ-
ბ ესენსკიმ შემდეგ ნაირათ დაახასია-
ბ ბარსეთის ახალი რევოლიუციონუ-
ბ თავრობა, რომელიც დროებით შე-
ბ ქ. რეშტში.
ბ ა წევრები, სთქვა ამხ. ვოზნესენს-
ბ შთამომავლობით ქ. რეშტიდან და
ბ ლიდან არიან; ამიტომ მათ სპარ-
ბ ს ხალხი ნაკლებათ იცნობს, თუმ-
ბ ალიანის და მაზანდარანის ოლქებ-
ბ იდი სახელი აქვთ მოხვეჭილი. ისი-
ბ ამოღვაწეო ასპარეზზე ახლათ გამო-
ბ ი არიან.
ბ შტში მომხდარი გადატრიალების
ბ კუთრებულათ დამახასიათებელი გა-
ბ ება იმაშია, რომ ახალმა რევოლიუ-
ბ ნურმა დროებითმა მთავრობამ სპარ-
ბ ს ძველი მოხელეების და თავად-
ბ ურების საქმეში ჩაურევლათ შესძ-
ბ საზოგადოების მართვა-გამგეობის
ბ ობა. როგორც ახალი კომუნისტის
ბ დგენლობა გვიჩვენებს, მასში ადგ-
ბ არა აქვს არც ერთს სპარსელ „დიდ-
ბ ს“ და იგი დემოკრატიულია.
ბ ენ პირდაპირ ვამბობთ, რომ ეს კა-
ბ ეტი კომუნისტებისგან არ შედგება.
ბ არჩეულია ლოზუნგების თანახმათ:
ბ ს ინგლისი და ძირს ინგლისისგან
ბ ყიდული თეირანის ძველი მთავრობა“.
ბ ახალი კაბინეთის წევრები ყველა
ბ ოკრატები არიან წვრილი ბურჟუა-
ბ ული წრეებიდან და არჩეულია ხალ-
ბ მიერ დიდი ხმის უმეტესობით.
ბ ამ მთავრობის მეთაური ქუჩუკ—ხანი,
ბ მელსაც მხოლოთ სპარსული განათ-
ბ ება აქვს მიღებული, მეტათ ნი-
ბ ერი და გონიერი ტაქტიკის კაცია
ბ ზნეობრივათ მეტათ ფაქიზ პიროვ-
ბ ას წარმოადგენს და გლეხთა ინტე-
ბ ების მედგრათ დამცველია.
ბ ან პირველათ შეადგინა რევოლიუ-
ბ ნური კომიტეტი 1917 წლის მიწუ-
ბ ლში, როცა იგი რუსეთის და სხვა
ბ ოელი ჯარების სპარსეთში ყოფნის
ბ ოს გიდიანის ტყეებში აფარებ—
ბ თავს. ამ კომიტეტს ეწოდებოდა
ბ ყის ძმები“—სპარსულათ „ჯენღელი“.
ბ უკ-ხანის მომხრეთა რიცხვი 1917 წ.
ბ 000 ავიდა. ისინი იძენდენ იარაღს და
ბ ვოლიუციისთვის ემზადებოდენ. პირ-
ბ ი შეტაკება მათ მოუხდათ ინგლისე-
ბ ბთან 1918 წ., როცა ინგლისის ჯა-
ბ ბი და სხვა კონტრ-რევოლიუციონუ-
ბ ბრბოები ბაქოს წინააღადეგ წაიყვა-
ბ გენერალმა ბიჩერახოვმა და როცა ეს
ბ ლები ამხ. შაუმიანის და ბაქოს სხვა
ბ ბჭოთა მუშაკ-მოღვაწე კომისრების
ბ ბურობას ეპირებოდენ. თუმცა იმ
ბ ოს ინგლისის ჯარმა ჰაეროპლა-
ბ ბის მეოხებით დაამარცხა, რის
ბ მოც მან იმ ხანათ უკან დაიხია და
ბ შემდეგ მთებში გახიზნული ძალებს
ბ იკრებდა, ამ უკანასკნელ დროს, როცა
ბ წითელი ფლოტი ენზელს მიადგა, წითე-
ბ ლი რაზმები ჩრდილოეთ სპარსეთში გა-
ბ ჩნდნენ, მაშინ იდროვა ქუჩუკ-ხანმა, გა-
ბ მოიყვანა თავისი ლაშქარი საერიშოთ
ბ და კიდეც გაიმარჯვა.

(„იზვესტია“).

ახალი ამბები

22 ივნისს საგუბერნიო კომიტეტმა ამხანაგ ჯორბელაძიდან თელავიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: ოთხი დღეა რაც ოთხი ამხანაგი დაპატიმრებულია, მათ წინააღმდეგ არავითარი ბრალდება არაა გარდა იმისა, რომ ისინი კომუნისტებს თანაუგრძნობენ. მიიღეთ ზომები მათ განსათავისუფლებლად.

— კვირას, 27 ამ თვეს 1920 წ. 12 ს. ქ. ხონში საშა წულუკიძის 15 წლის გარდაცვალებისაგან ხსოვნის აღსანიშნავათ, მის საფიცარზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი ამით აუწყებს მთელი გუბერნიის ორგანიზაციებს, რათა მათ გამოგზავნონ თავის წარმომადგენლები. ახლო მდებარე სოფლის ორგანიზაციების წევრებს ევალებათ პირადათ დასწრება.

— 29 ივნისს დღის 8 საათზე სახელმწიფო თეატრის შენობაში საერთაშორისო ინვალიდების კომისიის თავმჯდომარე ა. დარაფეევი წაიკითხავს ლექციან შემდეგ თემაზე: „შედეგი საერთაშორისო ომისა და მისი დამრღვევი მიზეზები, ეკონომიურ-კულტურულ და მეცნიერულ დარგში. ლექციის ბილეთების შეძენა შეიძლება თეატრის კასაში და ინვალიდების კავშირში მიხაილოვის ქ. 139.

დეპეშები

(საქარ. დეპ. სააგ.)

მოსკოვი, ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

მოსკოვი, 25 ივნისი. 24 ივნისის ოპერატიული რადიო-ცნობა. მოზირის მიმართულებით ჩვენი ჯარები მკაცრი ბრძოლებით ამარცხებს მოპირდაპირეს, რომელიც მკაცრ თავდაცვაზე გადავიდა. ჩვენი ერთი რაზმის სწრაფი შეტევით, აღებულია სოფელი ბორსუკი, რომელიც მოზირის აღმოსავლეთით 120 ვერსზე მდებარეობს. შეტევა გრძელდება. პროსკუროვის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა ქალაქი ლიტინი აიღეს და ქალაქ ლეტიჩევის აღმოსავლეთ 10 ვერსზე ბრძოლას აწარმოებენ. ყირიმის მიმართულებით მელიტოპოლ-ალექსადროვის რკინის გზის რაიონში ჩვენმა ჯარებმა, გადავიდენ რა შეტევაზე, მკაცრი ბრძოლების შემდეგ სოფელთა წყება დაიკავეს. როსტოვის საბჭოების საოლქო ყრილობამ გადაჭრილი გადაწყვეტილება მიიღო დაეხმარონ საბჭოთა რუსეთს პოლონელებთან ბრძოლაში.

რუმინიაში სერიოზული მღელვარება დაიწყო, გაკეთებულია ბარიკადები. აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოუშვეს ჯავშნოსანი ავტომობილები ტყვიისმფრქეველებით და სახელმწიფო გვარდია. ბულგარეთში განკარგულება გამოსცეს, რომ იმ პირებმა, რომლებსაც განსაზღვრული საქმე არ აქვთ დატოვონ საზღვრები. ეს ზომა უმთავრესად რუს ლტოლვილებს ეხება. სერბიის მთავრობა უფრო აშკარად ეპყრობა მათ. რუს ლტოლვილებს არა მარტო აკრძალული აქვთ სამხრეთ სლავიაში შესვლა, არამედ აკრძალული აქვთ ამ ქვეყნებზე გავლაც კი.

უნგრეთის მთავრობა გადადგა. ვიურტენბურგის რამდენიმე ქალაქში ცხოვრების გაძვირების გამო მღელვარება დაიწყო. პოლიციასთან ბრბოს შეტაკების დროს რამდენიმე დაიჭრა და მოკვდა. დუბლინში მოკვლის განზრახვით ესროლეს პოლიციის უფროსს.

საბერძნეთში სასახლის გადატრიალება მზადდება. მოსალოდნელია რომ ტახტი კონსტანტინეს დაუბრუნდეს. დაიჭირეს მრავალი ოფიცერი.

შენიშვნა

ამხ. კიროვმა პრესის თანამშრომლებთან საუბრის დროს, სხვათა შორის, სთქვა: „რით აიხსნება, რომ გაზეთი „ბორბა“ თავის ფურცლებს უთმობს სისტემატიურად დამახინჯებულს, ჭორებით აღსავსე ინფორმაციას საბჭოთა რუსეთზე, ჩრდილოეთ კავკასიაზე“ და სხვა.

ამას გაზეთი „ბორბა“ ძალიან გაუჯავრებია. იგი გულმოსულათ სწერს: „ჩვენ ჩვენს მკითხველებს ვაწვდით საბჭოთა მთავრობის შესახებ ცნობებს, რომლებიც თვით გაზეთ „პრავდა“—„იზვესტიაში“ არიან მოთავსებულიო.

ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ ისიც ვიცით, თუ როგორ სისტემაზეა აგებული ეს ცნობების კრება „პრავდა“—„იზვესტიებიდან“. უნდა ვთქვათ შემდეგი: საბჭოთა რუსეთის პრესა არა გავს „ბორბა“ „ერთობას“.

მთავრობის ხოტბას იქ დიდი ადგილი არა აქვს, რადგან ის ამას არ საჭიროებს. დამალვითაც არაფერს მალავენ, რადგან არავისი ეშინიათ.

მენშევიკებსავით ყოველივეს ხელს არ აფარებენ და ფარდით არ ფარავენ. პროლეტარიატს არ ჩვევია სირაქლემასავით სილაში თავის მალვა. და „ბორბა“ - „ერთობაც“ სარგებლობენ ამით, და მხოლოთ ისეთი დარგებიდან ლებულობენ თავის ნაწყვეტებს. ვარწმუნებთ საბრალო „ერთობა“—„ბორბას“ მკითხველებს, რომ გარდა ამისა კიდევ ბევრი სხვა რამე იბეჭდება საბჭოთა პრესაში, რისი გამოქვეყნება „ერთობა“-„ბორბასათვის“ ძალიან არა ხელსაყრელია.

შეძლების დაგვარათ ჩვენი „ს. კომუნისტი“ ამას ემსახურება. მაგრამ საქმე ამ ამონაწერებში არ არის. ჩვენ უმთავრესათ სახეში გვაქვს ის „სარწმუნო წყაროებიდან“ მოსული ცნობები, რომლებიც ასე უხვათ იბეჭდებოდა „ერთობა“-„ბორბას“ ფურცლებზე და ახლაც იბეჭდება.

თუ კი „ერთობა“-„ბორბას“ სურს, ჩვენ ადვილათ, სულ ადვილათ შეგვიძლია აუარებელი ამის დამამტკიცებელი ფაქტები მოვიყვანოთ. და არამც თუ „უბრალო“ ფაქტები, არამედ თვით მოწინავეები ამ ფაქტებზე აშენებულნი. თუ გინდ წითელი პიტერის აღებაზე იუდენიჩის მიერ და ამ უფრო ახლო წასრულში „ბორბას“ მოწინავე აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობისათვის დამოუკიდებლობის წართმევაზე: როდესაც „ბორბამ“ კაზანის და უფის გუბერნიები აზერბაიჯანში გადმოიტანა.

სხვა რომ არა იყოს რა, ის რათ ღირდა, რომ საგ. საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა მოხსენების დროს, ქუჩაში გავრცელებული ჭორები მოსკოვში გარდატრიალების შესახებ, ნახევრად დაადასტურა. „ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ ინფორმაციაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ვინმეს რომ ამ ჭორების დაეჯერებინა, ამდენხანს ჩრდილო-კავკასიაში საბჭოთა მთავრობა არც უნდა იყოს.

რამდენჯერ აიღეს არმავირი, მაიკოპი, პიატიგორსკი; რამდენჯერ გადმოასხა დენიკინმა დენსანტი ტამანზე, როგორ აჯანყდა მთელი მთიულეთი და კიდევ ვინ იცის რამდენი რამ.

ვიმეორებთ: თუ კი „ბორბა“-„ერთობას“ სურთ, ჩვენ შეგვიძლია ამ გაზეთების ნომრების აღნუსხვით საკმაო მასალა მოვაგროვოთ იმის დასამტკიცებლათ, თუ როგორი ტყუილით, ჭორებით აცნობდენ ისინი საბჭოთა რუსეთს თავის მკითხველებს.

ამხ. ივნევის ლექციის გამო.

როდესაც ამ რამდენიმე თვის წინეთ რიურიკ ივნევი რუსეთიდან აქ ჩამოვიდა, გულში გავიფიქრე: „ერთი დეზერტირი კიდევ მომატებია, პროლეტარულ რევოლიუციის მრავალ-რიცხოვან დეზერტირებს თქო“. გავიფიქრე ასე და, მართლა უნდა ვთქვა, ძალიან მეტკინა გული, იმიტომ კი არა, რომ ვითომდა ივნევის მოშორება დღევანდელ რუსეთის რევოლიუციას დიდ კვალს დაამჩნევდა, არამედ თვით ივნევის გამო. მე წამიკითხავს რიურიკ ივნევი: წამიკითხავს მისი ლექსები, მოთხრობანი დიდი სიამოვნებით. რუსეთის ახალგაზრდა პოეტებში მას საპატიო ადგილი უჭირავს და მეც ვაფასებდი ამას. მიტომ მეტკინა გული!

მაგრამ საბედნიეროთ ეჭვები არ გამიმართლდა. წინაალმდეგ, იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთი; პროლეტარული რევოლიუცია და მათი მეთაური კომუნისტური პარტია ყოვლად წარმოუდგენელ, საზიზღარ დევნის ვაკხანალიას განიცდიდენ დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში—ამ დროს გიმოდის ამ. ივნევი და საჯაროთ აღიარებს თავის პროლეტარულ მრწამს, შეძლების და გვარათ იცავს საბჭოთა რუსეთს, სოციალისტურ რევოლიუციას.

ამისთვის იგი გაძევებული იქმნა საქართველოს საზღვრებიდან.

მით უფრო სიხარულით წავედი მის მოხსენებაზე „პოლონეთი და საბჭოთა რუსეთი“. არ ვიტყვი, რომ ლექციამ სრულიად დამაკმაყოფილა. მას ქონდა ბევრი დეფექტები, როგორც გარეგნული მხრივ, ისე შინაარსითაც, მაგრამ უმთავრესი ხაზი ამხ. ივნევის მოხსენებისა—საბჭოთა რუსეთის ბრძოლა პოლონეთის წინააღმდეგ, არის რევოლიუციის ბრძოლა, კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ—სრულიად მისაღებია.

ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვა რუსეთის საბჭოთა მთავრობა და ამ გამარჯვების შედეგათ პოლონეთში აფრიალდება გამარჯვებული პოლონელ მუშათა და გლეხთა წითელი დროშა.

ასეთი იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

ვუსურვებთ მას, რომ ის სწორი გზა, გზა სავალდებულოა მით უფრო სელოვანისათვის, მას ღირსეულათ დაემთავრებიოს.

ფ. ბ—ძე

კვალ და კვალ

1. სახელმწიფო და კლასთა ბრძოლა.

ეს ერთი ხანია გაზეთ „ერთობის“ ~~ფურცლებზე~~ უხვათ აპნევს ოპორტიუნისტულ წერილებს რუსეთიდან დაბრუნებული ყოფილი მარქსისტი და დღეს კი წმინდა წყლის ოპორტუნისტათ და მეზღაპრეთ ქცეული ბ. სეით დევდარიანი.

მას მიზნათ დაუსახავს ქართველ მუშებში რევოლიუციონური სულის ძირ-ბუდიანათ აღმოფხვრა და წვრილ ბურჟუაზიული ოპორტიუნისტული სულისკვეთების ჩანერგვა.

ჩვენ, კომუნისტებს, არა ერთხელ აღგვინიშნავს, თუ როგორ ხრწნიან და ამახინჯებენ მარქს-ენგელსის რევოლიუციონურ მოძღვრებას მენშევიკები, თუ როგორ ასაღებენ ისინი თავიანთ წვრილ ბურჟუაზიულ ოპორტიუნისტულ მოძღვრებას მარქიზმად. სწორეთ ასეთნაირი დამახინჯების ერთ ნიმუშთაგანს ვპოვებთ ჩვენ ხსენებულ დევდარიანის წერილებში და განსაკუთრებით „ერთობის“ 113 №-ში მოთავსებულ წერილში: „პარტია და სახელმწიფო“. ეს მელიც მიმართულია მენშევიკების, ეგრეთ წოდებულ, „ოპოზიციონერების“ წინააღმდეგ. ის ეხება პარტიას და სახელმწიფოს ურთი-ერთობას და ამბობს: „პარტიას ხელში უჭირავს წითელი დროშა, სახელმწიფოს—სამფეროვანი. პარტია მიდის კლასთა ბრძოლის გზით, სახელმწიფოს ხელში უკავია კლასთა თანხმობის სასწორი. პარტია ემსახურება მუშათა კლასის ინტერესებს, ამზადებს მშრომელ ხალხის რაზმებს სოციალიზმისათვის საბრძოლველად. პარტია მოძრაობის და ბრძოლის ორგანოა, **სახელ**მწიფო ემსახურება მთელ საზოგადოებას, ის სხ. კლასების ინტერესებსაც უწევს ანგარიშს. სახელმწიფო საზოგადოებრივი წესიერების ~~ბ~~ მშვიდობიანობის ორგანოა“. გამოდის, რომ სახელმწიფო კლასიური ორგანიზაცია კი არ არის, არამედ საერთო ხალხსნური, ზე-კლასიური ორგანიზაცია; ის „ემსახურება მთელ საზოგადოებას და არა ერთ რომელიმე „კლასის ინტერესებს“. გამოდის. რომ სახელმწიფო კლასიური ბრძოლის იარაღს კი არ წარმოადგენს პოლიტიკურათ გაბატონებულ კლასის ხელში, არამედ მას „ხელში უკავია კლასთა თანხმობის სასწორი“.

აი პირწმინდა წვრილ ბურჟუაზიულ მეშჩანური შეხედულება სახელმწიფოზე; აი პირდაპირი და აშკარა დამახინჯება მარქს-ენგელსის მოძღვრებისა სახელმწიფოს შესახებ. აქამდე ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ დღევანდელ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც დაყოფილია ერთი მეორის მოწინააღმდეგე მტრულ კლასებათ, არაფერი ისეთი რამ არ არსებობს, რასაც ზე-კლასიური ხასიათი ქონებოდეს. როგორი მხარეც არ უნდა აგვეღო, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური, ყველაფერს, ჩვენი რწმენით, მტკიცე კლასიური ბეჭედი ესვა.

აქამდე ჩვენ ვიცოდით, რომ „სახელმწიფო მოვლენილია... სოციალური ბატონობის გასამტკიცებლათ“, და არა სხვა და სხვა მტრულ კლასების შესათანხმებლათ და მოსარიგებლათ. ჩვენ ვიცოდით, რომ „როცა ახალი კლასი საკმაოთ მოღონიერდება, ის ახდენს რევოლიუციას, ხელთ იგდებს სახელმწიფო ძალა-უფლებას და თავისი ინტერესებისამებრ ახალ წყობილებას აფუძნებს. ეს ახალი კლასის დიქტატურაა“. (წ. რ. „ისტორიული მატერიალიზმი“, გვ. 70-74). დღეს კი ყველაფერი ეს მენშევიკებს დავიწყებიათ. ~~ბ~~ სავსებით წვრილ ბურჟუაზიულ რეაქციონურ თვალსაზრისზე დამდგარან.

როგორია წვრილ ბურჟუაზიულ რეაქციონური თვალსაზრისი და საერთოთ როგორი წარმოდგენისაა წვრილი ბურჟუაზია სახელმწიფოზე?

ის ფიქრობს და ღრმათ არის დარწმუნებული, რომ სახელმწიფო კლასთა შემარიგებელი ორგანოა, რომ ის ემსახურება თანასწორათ ყველა კლასებს, ხოლო თუ კი სახელმწიფომ გაილაშქრა დაჩაგრული კლასის წინააღმდეგ გაბატონებული კლასის სასარგებლოთ, ამას ის იმით ხსნის, რომ სახელმწიფო ძალა-უფლების სათავეში მოექცა ისეთი უპასუხისმგებლო ჯგუფი, რომელიც ანგარიშს არ უწევს მუდმივს სამართლიანობას და ამ ძალა-უფლებას იყენებს თავისი ვიწრო კლასიური ინტერესების იარაღათ, წინააღმდეგ მთელი ხალხის, მთელი დემოკრატიის ინტერესებისა. აქედან,—უარყოფა ყოველგვარი ძალადატანებითი რევოლიუციის და ყოველგვარი კლასიური დიქტატურის, მაშასადამე, პროლეტარიატსაც, და აღიარება მარტო ევოლიუციონური, უკეთ რომ ვთქვათ, რეფორმისტული გზისა და სახალხო, დემოკრატიული სახელმწიფოსი. ეს პირდაპირ ლოლიკური დასკვნაა წვრილ ბურჟუაზიულ შეხედულებიდან სახელმწიფოზე, რაც სავსებით გამოააშკარავა ბ. ს. დევდარიანმა თავის შემდეგ წერილში, რის შესახებაც შემდეგ მოვილაპარაკებთ.

აი ასეთი ილიუზიებით იკვებება წვრილი ბურჟუაზიული მეშჩანობა, რაიცა აიხსნება მისი სოციალური მდგომარეობით.

სრული ამის წინააღმდეგია რევოლიუციონური პროლეტარული შეხედულება სახელმწიფოზე; რევოლიუციონურ პრო-

ლეტარიატის მოძღვრება არის მეცნიერული სოციალიზმი ანუ მარქსიზმი. და აი ეს შეურცხვენელი, დაუმახინჯებული ჭეშმარიტი მოძღვრება გვასწავლის ჩვენ, რომ „თანამედროვე სახელმწიფო, როგორი სახისაც არ უნდა იყოს ის, არსებითად კაპიტალისტური მანქანაა, კაპიტალისტების სახელმწიფოა, იდეალური კოლექტიური კაპიტალისტია“. (იხ. ფრ. ენგელსის „ანტი-დიურინგი“, გვერდი 377).

აქედან სჩანს, რომ სახელმწიფო მთელი ხალხის ორგანიზაცია კი არ ყოფილა, ყველა კლასების ინტერესებს კი არ იცავს, როგორც ამას ბ. დევდარიანი ამბობს, არამედ გაბატონებული კლასის ორგანიზაციაა) რომელიც იცავს ამ გაბატონებულ კლასს, ამ შემთხვევეში „კაპიტალისტების ინტერესებს“, როგორც ენგელსი გვასწავლის.

შემდეგ ფრ. ენგელსი ამბობს: „არა მარტო ძველი და ფეოდალური სახელმწიფოები წარმოადგენენ მონების და ყმების საყვლეფ ორგანოებს, არამედ თანამედროვე „წარმომადგენლობითი“ სახელმწიფოც არის იარაღი დაქირავებულ შრომის გასაყვლეფათ კაპიტალის მიერ“. „თავისუფალ სახალხო სახელმწიფოს“ შესახებ ენგელსი უმატებს: „ეს (ე. ი. კლასიური ბუნება სახელმწიფოსი—კ. კ.) სახეში უნდა ვიქონიოთ, როდესაც ვაფასებთ ფორმას „თავისუფალ სახალხო სახელმწიფოს“ შესახებ, როგორც მისი დროებით სააგიტაციო ვარგისობით, ისე მისი მეცნიერულად პირდაპირ შეუძლებლობით„. („ანტი-დიურინგი“ გვერ. 380-381).

ასეთია მეცნიერული სოციალიზმის შეხედულება სახელმწიფოზე (საერთოდ მარქსიზმის ჭეშმარიტი შეხედულება სახელმწიფოზე სავსებით განვითარებულია ნ. ლენინინ წიგნში: „სახელმწიფო და რევოლიუცია“), ხოლო ის კი, რასაც ბ. დევდარიანი ამბობს, წვრილ ბურჟუაზიული უტოპიურია და არაფერი საერთო არ აქვს მარქს-ენგელსის შოძღვრებასთან. ამას კარგათ უნდა ჩაუკვირდენ ქართველი მუშები.

სახელმწიფოის ასეთ ნაირმა გარჩევამ დევდარიანის მიერ დაბადა იგივე წვრილ ბურჟუაზიული შეხედულება კლასთა ბრძოლაზედაც. და მართლაც, როგორ უყურებს ის კლასთა ბრძოლას?— როგორც შეფერის წვრილ ბურჟუას, მეშჩანინს. ბ. დევდარიანი ამბობს: „კლასთა ბრძოლა არ ნიშნავს კლასთა მტრობას და სიძულვილს, ერთი კლასის მეორეზე მისისიანებას. კლასთა თანამშრომლობა კლასთა ბრძოლის ერთ-ერთი გზაა, ის ხელს უწყობს კლასთა თვითშეგნებას, განვითარებას, მუშათა კლასის უკეთ დარაზმვას.“

აი ამ სიტყვებში ჩაქსოვილია მენშევიზმის მთელი ფილოსოფია, მისი ალფა და ომეგა. ეს არის სწორეთ ოპორტიუნიზმის ქადაგება მუშებში, მუშების გონების დაჩლუნგება და არა მათი გათვითცნობიერება—განვითარება და კლასიურათ დარაზმვა მტრული კლასის საწინააღმდეგოთ. „კლასთა ბრძოლა არ უარყოფს კლასთა თანამშრომლობას,“ „კლასთა ბრძოლა არ ნიშნავს კლასთა მტრობას“! როგორ მოგწონთ ეს? განა მარქს-ენგელსის მიერ შემუშავებული მეცნიერული სოციალიზმი იმას გვასწავლის, რომ ბურჟუაზია პროლეტარიატის მტერი არ არის? რომ პროლეტარიატმა ის თავის მოსისხლე მტრათ არ უნდა მიიჩნიოს? განა გულწრფელი სოციალისტი, პროლეტარიატის მოამაგე კლასთა თანამშრომლობის მომხრე უნდა იყვეს, რომელიც პირდაპირ სასარგებლო იქნება ბურჟუაზიისათვი სდა საზიანო პროლეტარიატისათვის, და რომელიც პროლეტარიატის გათვითცნობიერებას კი არ შეუწყობს ხელს, არამედ მისი გონების დაჩლუნგებას და კლასიური ინტერესების მივიწყებას.

პირიქით კ. მარქსის და ფრ. ენგელსის უმთავრესი დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ იმათ აღიარეს და შემოიღეს კლასიური ბრძოლის პრინციპი, როგორც ძირითადი მამოძრავებელი ძალა, ქვაკუთხედი საზოგადოებრივი განვითარებისა. რას გვასწავლის ჩვენ მარქს-ენგელისი: „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“?

ის გვასწავლის, რომ მთელი საზოგადოების ისტორია ეს განუწყვეტელი კლასთა ბრძოლის ისტორია ყოფილა; რომ არსებულ კლასებს შორის მუდამ მტრულ წინააღმდეგობას ქონებია ალაგი და ამიტომ მათ შორის წარმოებდა განუწყვეტელი ბრძოლა, რომელიც ხშირათ სასტიკ სამოქალაქო ომის ხასიათს ღებულობდა.

დიახ, ყველა ამებზე უტყუარ პასუხს იძლეკა მარქსიზმი, რომელიც ასე წაბილწეს და დაამახინჯეს მენშევიკებმა. იმათ კარგათ იციან, რომ ქართველ მუშებში გასავალი აქვს მარქს-ენგელსის ავტორიტეტს, მაშასადამე, მარქსიზმსაც და, რადგანაც ქართული ენა ძალიან ღარიბია მარქსისტული ლიტერატურით, სპეკულიაციას ეწევიან მაზე.

ასეთ ნაირ სპეკულიაციას ბოლო უნდა მოეღოს და აღდგენილ იქნას დაუმახინჯებელი ჭეშმარიტი რევოლიუციონური მარქსიზმი, რომელსაც შეუძლია დააყენოს მუშაოა კლასი, პროლეტარიატი, ჭეშმარიტ გზაზე სოციალიზმის განსახორციელებლათ.

კ. კომუნაძე

პარტიული ცხოვრება

სენაკის მაზრა.

ს. გეჯეთი. 6. ივნისი. შესდგა ადგილობრივი კომუნისტების და თანამგრძნობლების კრება. კრებას დაესწრო 100-მდე ამხანაგი. დღის წესრიგში დაისვა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება მომენტის შესახებ; 2) რეგისტრაცია ძველი პარტიული ამხანაგებისა და 3) ორგანიზაციული მუშაობის გაცხოველება.

მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. ს. თ. და ო. ო. მათ მოკლედ, მაგრამ შინაარსიანათ აუხსნეს კრებას დღევანდელი პოლიტიკური ვითარება. კრებას დიდი აღფრთოვანება ეტყობოდა და კმაყოფილი დარჩენ ამხანაგები. პარტიაში ჩაწერის სურვილს აქ ბევრი აცხადებს. კრებაზე მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: როგორც თანდათან ცხოვრების მიმდინარეობა გვარწმუნებს, დღეს გამართულია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჩაგრულთა და მჩაგვრელთა შორის, და ამ შებრძოლების შედეგზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი ბედნიერება. კრება ერთხმათ გამოსთქვამს სურვილს არ შეუშინდეს არავითარ შევიწროებას და დაბრკოლებებს, შეკავშირდენ მტკიცედ და რევოლიუციის ავანგარდ-პროლეტარიატთან ერთად იბრძოლოს მიზნის მისაღწევად. კრება ესალმება აგრეთვე გაზ. „საქ. კომუნისტ“-ს და იმედოვნებს რომ იგი შეიქმნება ჩვენთვის გზის მაჩვენებელ მნათობად და გაჰფანტავს იმ ბურუსს, რომელიც გარს ახვევია ჩვენს პარტიას მტერთა და ორგულთა წყალობით,

გეჯეთის კომუნისტი.

ქ. ლანჩხუთი.

18 ივნისს შესდგა მორიგი კრება საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიონის კომისიისა. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები:

1. მოხსენებები ადგილებიდან.
2. წულუკიძის შესახებ.
3. ბიუროს შესახებ.
4. გაზეთის ფონდი,
5. საწევრო გადასახადი.
6. აგენტების არჩევა გაზ. „საქ. კომ“-ისათვის.
7. მომხსენებლის გაგზავნა ჩიბათში.

მოხსენებები გაკეთდა 6 იაჩეიკიდან. როგორც გამოირკვა, ყველა კუთხეებში წყვება იაჩეიკები და ამხანაგებიც მუშაობას მეტის ხალისით ეკიდებიან. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ზოგან ადგილობრივი წვრილფეხა მენშევიკები აშინებენ გლეხებს, რომ ლეგალიზაცია არ არის, რომ პარტიული მუშაობისათვის სასტიკათ დაისჯებითო. საჯურველია ვიცოდეთ, ვისი დირექტივებით მოქმედებს ეს ხალხი ჩვენს წინააღმდეგ, თუ ისინმა არ იციან რა მოხდა ამ უკანასკნელ ხანებში. კომიტეტი ავალებს ყველა იაჩეიკების წარმომადგენლებს გააორკეკონ ენერგია და არ დაიშურონ ძალა პარტიული მუშაობის შესაფერათ მოწყობისათვის. მეორე კითხვაზე კრება ადგენს: ვინაიდან რაიონში ორგანიზაციული მუშაობა ჯერ სავსებით არ არის გაცხოველებული და ამ მხრივ მართებსმას მუშაობა,ამიტომ ჩვენ ვერ ვაწყობთ სამოქალაქო პანაშვიდს განზრახულ დროისათვის; ამას კომიტეტი მოაწყობს შემდეგში, ხოლო ახლა ადგენს, რომ საშა წულუკიძის ხსოვნის აღსანიშნავათ შეგროვდეს ამხანაგთა შორის ფული გაზ. „საქ. კომუნისტის“ ფონდის გასაძლიერებლათ. მესამე კითხვაზე კრება ადგენს: აუცილებლათ ამ ერთი კვირის განმავლობაში გამონახულ იქნას შესაფერი ბინა ბიუროსათვის. მეოთხე კითხვის შესახებ კრება ავალებს იაჩეიკების წარმომადგენლებს შეკრიბონ ადგილობრივ ფული გაზ. „საქ. კომუნისტის“ ფონდის გასაძლიერებლათ. მეხუთე კითხვის შესახებ დაადგინეს: ვინაიდან კომიტეტს მრავალი ხარჯები მოუვა ბიუროს მოსაწყობათ და სხვა ორგანიზ. მუშაობისათვის, ამიტომ საწევრო გადასახადი შემოტანილ იქნას ამ ახლო ხანში. მეექვსე კითხვაზე: კრება ავალებს იაჩეიკებს იშოვნონ ხელის მომწერლები ადგილობრივ და აირჩიონ აგენტი, რომელიც ლანჩხუთის ბიუროდან წაიღებს გაზეთებს ხელის მომწერლებზე დასარიგებლათ. ჩიბათში მოხსენების გასაკეთებლათ მიმდინარე მომენტზე გაგზავნილ იქმნა ამხ. ი—ი. კრების ბოლოს მიმდინარე მომენტზე შინაარსიან მოხსენებას აკეთებს ამხ. აკაკი, რამაც კრება სავსებით დააკმაყოფილა.

ონიძე.

შუხუთის თემი.

20 ივნისს შესდგა იდგილობრივი კომ. იაჩეიკის კრება. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება რაიონკომიდან, 2) გაზეთის ფონდი. 3) ბიუროს და გაზეთის აგენტის შესახებ. 4) წევრთა გადახილვა.

რაიონულ კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კ—მ და გააცნო კრებას მისი დადგენილებანი რომელიც დაადასტურა კრებამ. მეორე კითხვის შესახებ კრება ადგენს: გაზ. „საქ. კომუნისტი“ მუშათა და გლეხთა გაზეთია. როგორც ასეთი ის იარსებებს მუშათა და გლეხთა დახმარებით ან სულ არ იარსებებს. საჭიროა გავუწიოთ მას, როგორც მატერიალური, ისე ზნეობრივი დახმარება. კრება გაზ. „საქ. კომუნისტისათვის“ .დახმარების შესაკრებათ ამხანაგთა შორის ირჩევს ორ კაცს. ამავე კრებაზე შეკრებილ იქნა 600 მანეთამდი. მესამე კითხვის შესახებ კრებამ გამოსთქვა სურვილი ადგილობრივ ბინის დაქირავებისათვის ბიროს მოსაწყობათ. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდო პრეზიდიუმს და აგრეთვე აგენტის დანიშვნაც, რომელიც გაზეთებს ლანჩხუთიდან შუხუთში ამოიტანს ხელისმომწერლებისათვის. ამის შემდეგ კრებამ გადახილა ძველი წევრთა სია და იქიდან ამოშალა ყველა ისინი, რომლებიც წარსულში ვერ იდგენ თავის სიმაღლეზე და პარტიისათვის მავნებელნი იყვნენ. აგრეთვე კრება ადგენს, რომ მომავალში ახალი წევრები მიღებულ იქნან, მაგრამ ისეთნი, რომლებიც ხელს შეუწყობენ პარტიის გაძლიერებას და მის მუშაობას შესაფერ და საჯურველ დონეზე დააყენებენ.

შუხუთელი.

სენაკის მაზრა.

8 ივნისს გავემგზავრე ნოსირში იაჩეიკების აღსადგენად და ახალ წევრების მისაღებად. ამას მოითხოვდენ ადგილობრივი ამხანაგები. ნოსირში ამხანაგები მოგროვდენ და მათ შესაფერი მოხსენება გავუკეთე. დაარსდა იაჩეიკა და შემუშავებულ იქნა გეგმა პარტიულ მუშაობის. ამ ამბავს თავზარი დაუცია ადგილობრივი წვრილფეხა მოწინააღმდეგეთათვის და ვერ მოუნახავთ რა სხვა საშვალება თავიანთი პოზიციის შესანარჩუნებლად. მიუმართავთ მილიციისათვის და მათი საშუალებით დაუბარებიათ ყველა ზემოხსენებული იაჩეიკის წევრები კამისარიატში შესაშინებლად. სჩანს, შეეშინებიათ კიდეც. ციხეში გაგზავნის მუქარით მათ უნდათ შეინარჩუნონ თავიანთი გავლენა. ამის შესახებ სხვათა შორის მივმართე დამფუძნებელ კრების წევრს ბ. ძველაიას პროტესტით და მოვითხოვე საჭირო ზომების მიღება. საჭიროთ ვცნობთ მიეცეს წინადადება მაზრის ადმინისტრაციას, რათა შემდეგში არ ექმნეს ადგილი ასეთ ძალმომრეობას და მუქარას.

სანდრო თურქია.

მუშათა შორის.

თბილისის ნემსზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირში.

ნემსზე მომუშავეთა კავშირი დაარსდა 1917 წ. მაშინ კავშირში ირიცხებოდა 900 კაცი.

1918 წ. წევრები თანდათან შორდებიან კავშირს, რადგან კავშირი ვერ აკმაყოფილებს მუშათა მოთხივნილებას. წევრთა რიცხვი ჩამოიწია 200—კაკამდე.

1919 წ. ქალაქის დასაცალათ გადასახლების გამო მუშები იძულებულნი გახთენ ჩაწერილიყვენ კავშირში და ამით აეშორებინათ გადასახლება. კავშირში წევრთა რიცხვმა იმატა 602.

ამ სამი წლის განმავლობაში ადგილი ქონდა რამოდენიმე გაფიცვას, რომელნიც კავშირის უმაღლეს ორგანოს დაუდევრობის და მუშათა ინტერესების დაცვის აბუჩათ აგდების გამო—კავშირმა წააგო.

1914 ჩვენი პარტიული ამხანაგების ენერგიული მუშაობის წყალობით კავშირის გამგეობაში გავიყვანეთ ყველა ჩვენი პარტიული ამხანაგები. ამ გამგეობამ დაიწყო ენერგიული მუშაობა, რათა კლასთა ბრძოლის ორგანიზაციათ გადაექცია ჩვენი კავშირი. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ მცირე ხანს ვხელმძღვანელობდით კავშირის—მაინც მოვასწარით კავშირის ორგანოს გამოცემა, დელეგატთა საბჭოს მოწყობა და ინსტრუქციების შემუშავება საბჭოს სახელძღვანელოთ.

მიუხედავათ იმისა, რომ ძველ გამგეობამ დაიწყო კავშირის საწინააღმდეგოთ მუშებში აგიტაცია და აგრეთვე პროტესტების გამოტანა—რიცხვი კავშირში საწევრო გადასახადის შემომტანთა თვალსაჩინოდ გაიზარდა. „ყვითელ“ მუშების წარმომადგენლებმა პროტესტებზე გვარდიელების ძალდატანებით მუშებს მოაწერიეს ხელი. ზოგი ხელისმომწერთაგანი არც ყოფილა კავშირის წევრი.

როდესაც ეგ კომპანია მათ საწინააღმდეგოთ დასრულდა, იწყეს ჩვენი ამხანაგების გაცემა. დაატუსაღეს შემდეგი ამხანაგები: კავშირის თავმჯდომარე ბაქრაძე, თავმჯდომარის ამხანაგი აბოვიანცი, მდივანი შუხატოვიჩი. ჩამოთვლილ ამხანაგთა შემდეგ დაატუსაღეს მათი მოადგილენი: პრეზიდიუმის წევრი აპანანსკი, გამგეობის წევრები ბერჩაკოვი, ნაცვლიშვილი. შემდეგ დაატუსაღეს ის კავშირის წევრებიც, რომელნიც იცავდენ ჩვენს გამგეობას, მაგ., კასაძე, ჟუკოვი და სხვა, რიცხვით სულ 11 კაცი.

დღეს დღეობით ნემსზე მომუშავენი კავშირზე გულაცრუებულნი არიან, რადგან არც კავშირი, არც სატარიფო პალატა „შემთანხმებლობითი“ პოლიტიკის წარშოებით ვერ იცავენ მუშათა ინტერესებს ისეთ, როგორც არის ეგ საჭირო. რაც შეეხება კავშირთა საბჭოს მისი კანტროლი ჩვენზე გამოიხატება იმაში, რომ ის გვიკრძალავს ყოველნაირ ბრძოლას და ბოკმედებას და ამით გვაცლის კლასთა ბრძოლის ნიადაგს.

ამ მიზეზებს მიეწერება უმუშავართა სიმრავლე და მათი უმწეო მდგომარეობა.

მუშა გ.

მისალმეგანი

ნაქალაქევი (სენაკის მაზრა). უსაზღვრო სიხარულით მივესალმები მშრომელი ხალხის ინტერესების გამომხატველს გაზეთ „საქ. კომუნისტს“ და მის თანამშრომლებს.

ამხანაგებო მუშებო, მშრომელნო გლეხებო და ჯარის კაცებო! შემოკრბით ამ დიად დროშის ქვეშ! ირაზმება და ყალიბდება გიგანტიური ნაბიჯით ორი მიმდინარეობა ან უკეთ რომ ვსთქვათ ორი ბანაკი: პროლეტარიატი ერთი მხრით, ხოლო პროლეტარიატის—მშრომელი ხალხის სისხლის მსმელი ბურჟუაზია მეორე მხრით.

არის ბრძოლა გაჩაღებული ამ ორ ბანაკთა შორის, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო. ეს დღეს ყველასათვის აშკარაა.

ამის შემდეგ, ამხანაგებო, უაქტიობა და განზე დგომა ღალატია მშორომელი ხალხის, რევოლიუციის და თავისუფლების.

მშრომელი მასსის ინტერესები გვავალებს მოვაწყოთ ყოველგან სწრაფი, დაკვირვებული, შეკავშირებული და ხელ-ხელ ჩაკიდებული მუშაობა, ოღონდ თუ აქმდის მკრთალათ და შეშინებულათ—ახლა გაბედვით და მხნეთ.

ამხანაგებო კომუნისტებო! დე[illegible] შევქმნაათ ის, რაც აქამდის ვერ [illegible] ნით.

[illegible]

ჩვენ [illegible] ხვით 700 კაცამდე მივესალმებით [illegible] მელთან ორგანოს „საქრ. კომუნისტ[illegible] ვუსურვებთ წინ სვლას გამარ[illegible] საკენ. ჩვენ აღუთქვამთ მას სრულ[illegible] ნაგრძნობას.

ამხაგ. მონდობილ. **ბ. კა—შვილ[illegible]**

გაზეთ „საქ. კომუნისტ[illegible]

ფონდი.

სამხედრო სამინისტროს უმწეო[illegible] გუნდის ჯარისკაცებისაგან (რიცხვ[illegible] კაცი) 775 მან.

სიღნაღის მაზრის ამხანაგებისა[illegible] 905 მან.

სოფ. ანაგენ ამხანაგებისაგან—9[illegible]

ს. ა. მანჯავიძისაგან—200 მან.

ცნობა

რუსეთის სოციალისტურ ფედერატ[illegible] საბჭოთა რესპუბლიკის სრულ[illegible] ლებიან წარმომადგენელისგან [illegible] თველოში.

იმის გამო, რომ ხშირათ მოგვმა[illegible] ვენ ხოლმე საქართველოს მოქალ[illegible] თხოვნით ხელი შევუწყოთ და დავ[illegible] როთ რუსეთში გასვლაზე, გასასვ[illegible] მოწმობების მიღებაზე, პასპორტებ[illegible] მოწმობაზე და სხვა ამგვარებზე, [illegible] მომადგენლობა აცხადებს, რომ [illegible] ლა ამ კითხვების განხილვა [illegible] **ლოთ საკონსულო განყოფილების [illegible] პეტენციაში შედის,** რომელიც ამ [illegible] ეწყობა და მალე გამოაქვეყნებს, თ[illegible] დროს მიიღებს და სად იგი მთხო[illegible] ლებს.

რ. ს. ფ. ს. რ.-ის სრულუფლებ[illegible] წარმომადგენლობა ამით აცხადებს, [illegible] წარმომადგენლობის მოსამსახურეთა [illegible] ტი უკვე შევსებულ ია.

ადგილებზე ახალი განცხადებანი [illegible] მიიღება, ხოლო უკვე მიღებული გან[illegible] დებანი თუ დღემდე არაა განხილ[illegible] განუხილველი დარჩება.

მიღების დრო-

1) რ. ს. ფ. ს. რ-ის წარმომად[illegible] ლი მიმსვლელთ [illegible] 12-დან [illegible] ათამდე, 2) წარმომადგენლის მრჩ[illegible] („სოვეტნიკი“) ლ. ნ. სტარსკი—12 [illegible] —2 საათამდე, 3) წარმომადგენ[illegible] მრჩეველი საქართველოში ს. ი. ქ[illegible] რაძე 12-დან—2 საათამდე, 4) სამხე[illegible] წარმომადგენელი ბ. ბ. სიტინი მიი[illegible] 12-დან—2 საათამდე, 5) წარმომად[illegible] ლის პირველი მდივანი ა. ა. ანდრ[illegible] დილის 10-დან—12 საათამდე, 6) [illegible] მომადგენლის საქმეთა მწარმოებელ[illegible] ა. ბელოუსოვი დილის 11-დან—1 [illegible] ათამდე.

რ. ს. ფ. ს. რ.-ის სრულუფლებ[illegible] წარმომადგენლობის ბინა მოთავსებუ[illegible] რტიშჩევის ქუჩა, № 4.

თბილისის კომუნისტური ორგანი[illegible] ციის პირველი რაიონის ბიურო მო[illegible] სებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. [illegible] ლაც ჭლუხანოვის სამეთხვევლოა.

ბიურო დიან სადამობით 5—7 [illegible] საათამდე.

თბილისის კომუნისტური ორგანი[illegible] ციის მეოთხე რაიონის ბიურო დრ[illegible] ებით მოთავსებულია რუსსოვეტის [illegible] გოში, სადაც სწარმოების ახალი წევ[illegible] ების ჩაწერა და ძველი წევრების რეგ[illegible] ტრაცია. ბიურო დიან დილის 10 [illegible] თიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და [illegible] დამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

ამხანაგების საყურადღებოთ!

მეორე რაიონის ს. კ. ბ. ბიუ[illegible] დროებით გადავიდა ტატიანის ქუ[illegible] დან რუსოვეტის სადგომში. მიღება [illegible] ველ დღე დილის 10 საათ.—12 [illegible] თამდე და სადამოს 5—7 ,ათამდე.

მესამე რაიონის ს. კ. ბ. ბიურ[illegible] დროებით მოთავსებულია რუსოვეტ[illegible] სადგომში, სადაც სწარმოებს ახალ[illegible] და ძველი წევრების რეგისტრაც[illegible] ბიურო დიან დილის 10 ნახ. საათა[illegible] ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და [illegible] 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.